

შპს სკოლა ევრო-2000

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქ. ბათუმი
2025

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 10

სრული შემოსავლების ანგარიშგება 11

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 12

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 13

განმარტებითი შენიშვნები..... 14-26

მმართველობის ანგარიშგება..... 27-36

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „სკოლა ევრო-2000“-ის

პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სკოლა ევრო-2000“-ის 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის თანდართული ფინანსური ანგარიშგების (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების) აუდიტი.

ჩვენის აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონოდა საკითხებს, რომლებიც განხილულია „*პირობითი მოსაზრების საფუძველის*“ აბზაცში, შპს „სკოლა ევრო-2000“-ის მიერ 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აუდიტირებული ობიექტის საერთო ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები

შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგები 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარმოდგენილია 125,128 ლარით;

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების (გარდა უძრავი ქონებისა) ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები, გარდა უძრავი ქონებისა, 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარმოდგენილია 808,121 ლარით;

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ საწარმოსგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, რომელიც მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის, მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, კერძოდ საწარმოს საქმიანობის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს) პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს საწარმოს შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ საწარმოს არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ საწარმოს ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;

- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ბითიუი კონსალტინგის“ სახელით
გარიგების პარტნიორი



ბესიკ კვაჭანტირაძე

აუდიტორთა სახელმწიფო
რეესტრში რეგისტრაციის
ნომერი
SARAS-A-206872

ქ. ბათუმი, 2025 წლის 10
ივლისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.08.2024	31.08.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1 766 102	1 316 917
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	352 846	360 462
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		125 128	178 321
წინასწარ გაწეული ხარჯები		20 298	6 235
საგადასახადო აქტივი		105 999	79 693
		2 370 373	1 941 627
ძირითადი საშუალებები	4	14 719 558	14 589 235
საინვესტიციო ქონება	5	493 159	497 367
არამატერიალური აქტივები	6	8 503	10 740
		15 221 220	15 097 342
სულ აქტივები		17 591 593	17 038 969
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები		29 123	21 975
მიღებული ავანსები		320 690	287 570
გადასახდელი ხელფასები		-	124 651
მოკლევადიანი სესხები	9	28 250	129 473
სხვა ვალდებულებები		12 539	2 666
		390 603	566 335
გრძელვადიანი სესხები	9	-	27 124
		0	27 124
კაპიტალი			
გადაფასების რეზერვი		11 915 069	11 927 969
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		3 233 330	2 838 785
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		2 052 592	1 678 755
		17 200 990	16 445 510
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17 591 593	17 038 969

დამტკიცებულია და ხელმოწერილია 07.07.2025

მარინა ცივამე
დირექტორიია მექვაბიშვილი
მთავარი ბუღალტერიანზორ აბუსერიძე
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.08.2024	31.08.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1 766 102	1 316 917
მოთხოვნები მიწოდებნიდან და მომსახურებიდან	8	352 846	360 462
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		125 128	178 321
წინასწარ გაწეული ხარჯები		20 298	6 235
საგადასახადო აქტივი		105 999	79 693
		<u>2 370 373</u>	<u>1 941 627</u>
ძირითადი საშუალებები	4	14 719 558	14 589 235
საინვესტიციო ქონება	5	493 159	497 367
არამატერიალური აქტივები	6	8 503	10 740
		<u>15 221 220</u>	<u>15 097 342</u>
სულ აქტივები		17 591 593	17 038 969
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები		29 123	21 975
მიღებული ავანსები		320 690	287 570
გადასახდელი ხელფასები		-	124 651
მოკლევადიანი სესხები	9	28 250	129 473
სხვა ვალდებულებები		12 539	2 666
		<u>390 603</u>	<u>566 335</u>
გრძელვადიანი სესხები	9		27 124
		<u>0</u>	<u>27 124</u>
კაპიტალი			
გადაფასების რეზერვი		11 915 069	11 927 969
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		3 233 330	2 838 785
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		2 052 594	1 675 795
		<u>17 200 993</u>	<u>16 442 549</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17 591 593	17 038 969

დასტოვებულია და ხელმოწერილია 07.07.2025

მარინა ცივაძე
დირექტორიანზორ აბუსერიძე
დირექტორიიაშვიტაბიძე
მთავარი მენეჯერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

GEL

შემოსავლები	შენიშვნა	31.08.2024	31.08.2023
ამონაგები	10	6 421 626	4 834 954
		6 421 626	4 834 954
ხარჯები			
რეალიზებული საქონლის ღირებულება		(82 966)	-
ადმინისტრაციის ხელფასი		(3 239 544)	(2 495 992)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(122 366)	(107 973)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11	(671 012)	(524 621)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		2 305 738	1 706 367
საპროცენტო შემოსავალი		170 653	81 522
საპროცენტო ხარჯი		(4 880)	(16 842)
საკუროსო სხვაობა, ნეტო		(1 391)	8 145
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		(27 291)	10 001
გაუფასურების ხარჯი/რევერსირება		(163 613)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2 279 217	1 789 194
მოგების გადასახადი		(226 625)	(110 438)
წმინდა მოგება/(ზარალი)		2 052 592	1 678 755
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		(12 900)	(12 900)
სულ სრული შემოსავალი		2 039 692	1 665 855

მარინა ცივამე
დირექტორი

ია მექვაბიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ანზორ აბუსერიძე
დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

GEL

შემოსავლები	შეჩიშება	31.08.2024	31.08.2023
ამონაგები	10	6 421 626	4 834 954
		<u>6 421 626</u>	<u>4 834 954</u>
ბარჯები		(82 966)	-
რეალიზებული საქონლის ღირებულება		(3 239 544)	(2 495 992)
ადმინისტრაციის ხელფასი	4	(122 366)	(107 973)
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(671 012)	(524 621)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები			
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		<u>2 305 738</u>	<u>1 706 367</u>
საპროცენტო შემოსავალი		170 653	81 522
საპროცენტო ხარჯი		(4 880)	(16 842)
საკუროსო სხვაობა, ნეტო		(1 391)	8 145
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		(27 291)	10 001
გაუფასურების ხარჯი/რევერსირება		(163 613)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		<u>2 279 217</u>	<u>1 789 194</u>
მოგების გადასახადი		(226 625)	(110 438)
წმინდა მოგება/(ზარალი)		<u>2 052 592</u>	<u>1 678 755</u>
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		(12 900)	(12 900)
სულ სრული შემოსავალი		<u>2 039 692</u>	<u>1 665 855</u>

მარინა ცივაძე
დირექტორიასპორ აბუსერიძე
დირექტორიია შეცვაბიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

არაპირდაპირი მეთოდი

GEL

	31.08.2024	31.08.2023
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
პერიოდის მოგება/ზარალი (დაბეგვრამდე)	2 052 592	1 678 755
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	122 366	107 973
საპროცენტო ხარჯი	4 880	16 842
საპროცენტო შემოსავალი	(170 653)	(81 522)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	1 391	(8 145)
მოთხოვნის გაუფასურება	163 613	20 965
	2 174 187	1 734 868
ცვლილება სავაჭრო დებიტორებში	7 616	133 381
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(14 063)	2 628
ცვლილება მარაგებში	53 193	(177 899)
ცვლილება ვალდებულებებში	(134 754)	10 311
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში	(124 651)	24 746
ცვლილება გადასახადებში	(26 306)	22 014
ცვლილება მიღებულ ავანსებში	33 120	165 030
მიღებული პროცენტი	170 653	81 522
გადახდილი პროცენტი	(4 880)	(16 842)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 134 115	1 979 761
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(259 144)	(263 752)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(259 144)	(263 752)
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
გადახდილი დივიდენდი	(1 284 211)	(625 818)
გადახდილი სესხი	(128 347)	(295 567)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1 412 558)	(921 385)
საკურსო სხვაობის ეფექტი	(13 229)	(13 459)
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	449 184	781 165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 316 917	535 752
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 766 101	1 316 917

მარინა ცივაძე
დირექტორი

ანზორ აბუსერიძე
დირექტორი

ია მექვაბიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

არაპირდაპირი მეთოდი

GEL

	31.08.2024	31.08.2023
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები პერიოდის მოგება/ზარალი (დაბეგვრამდე)	2 052 592	1 678 755
კორექტირებები:		
ცვთა და ამორტიზაცია	122 366	107 973
საპროცენტო ხარჯი	4 880	16 842
საპროცენტო შემოსავალი	(170 653)	(81 522)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	1 391	(8 145)
მოთხოვნის გაუფასურება	163 613	20 965
	<u>2 174 187</u>	<u>1 734 868</u>
ცვლილება სავაჭრო დებიტორებში	7 616	133 381
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(14 063)	2 628
ცვლილება მარაგებში	53 193	(177 899)
ცვლილება ვალდებულებებში	(134 754)	10 311
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში	(124 651)	24 746
ცვლილება გადასახადებში	(26 306)	22 014
ცვლილება მიღებულ ავანსებში	33 120	165 030
მიღებული პროცენტი	170 653	81 522
გადახდილი პროცენტი	(4 880)	(16 842)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>2 134 115</u>	<u>1 979 761</u>
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები მირითადი საშუალებების შეძენა	(259 144)	(263 752)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	<u>(259 144)</u>	<u>(263 752)</u>
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები გადახდილი დივიდენდი	(1 284 211)	(625 818)
გადახდილი სესხი	(128 347)	(295 507)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	<u>(1 412 558)</u>	<u>(921 385)</u>
საკურსო სხვაობის ეფექტი	(13 229)	(13 459)
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	<u>449 184</u>	<u>781 165</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 316 917	535 752
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u>1 766 101</u>	<u>1 316 917</u>

მარიანა ციკაძე
დირექტორიანზორ აბუსერიძე
დირექტორიია მექვაბიშვილი
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

GEL

	გადაფასების რეზერვი	მოგება/ (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 აგვისტოსთვის	11 940 869	3 464 603	15 405 472
წმინდა მოგება/(ზარალი)	(12 900)	1 789 194	1 776 294
გამოცხადებული დივიდენდი	-	(625 818)	(625 818)
მოგების გადასახადი	-	(110 438)	(110 438)
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	11 927 969	4 517 541	16 445 510
წმინდა მოგება/(ზარალი)	(12 900)	2 279 217	2 266 317
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1 284 211)	(1 284 211)
მოგების გადასახადი	-	(226 625)	(226 625)
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	11 915 069	5 285 922	17 200 991

მარინა ცივაძე
დირექტორი

ია მექვაბიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ანზორ აბუსერიძე
დირექტორი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

GEL

	გადაფასების რეზერვი	მოგება/ (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 აგვისტოსთვის	11 940 869	3 464 603	15 405 472
წმინდა მოგება/(ზარალი)	(12 900)	1 789 194	1 776 294
გამოცხადებული დივიდენდი	-	(625 818)	(625 818)
მოგების გადასახადი	-	(110 438)	(110 438)
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	11 927 969	4 517 541	16 445 510
წმინდა მოგება/(ზარალი)	(12 900)	2 279 217	2 266 317
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1 284 211)	(1 284 211)
მოგების გადასახადი	-	(226 625)	(226 625)
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	11 915 069	5 285 922	17 200 991

მარინა ცივაძე
დირექტორი

ანზორ აბუსერიძე
დირექტორი

ი. გ. გ. გ.
მთავარი ბუღალტერი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "სკოლა ევრო-2000" (შემდგომში "საწარმო") დაფუძნდა 2001 წელს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო საიდენტიფიკაციო ნომერია: 245437843;

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქუჩა №91ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლების მომსახურება.

საწარმო ხელმძღვანელებია მარინა ცივაძე და ანზორ აბუსერიძე.

საწარმოს პარტნიორები საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

	31.08.2024	31.08.2023
მარინა ცივაძე	50,00%	50,00%
ანზორ აბუსერიძე	50,00%	50,00%
	100,00%	100,00%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო

პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით

შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 სექტემბრიდან 31 აგვისტომდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	31.08.2024	31.08.2023
USD	2,6911	2,6292
EUR	2,9809	2,8621

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

მიწისა და შენობების ჯგუფები აღრიცხულია გადაფასების მოდელით. გადაფასება გაკეთებულია 2018 წელს. შეფასების შემდეგ შენობებს ერიცხებათ ცვეთა იმ წესით, როგორც ქვემოთაა მოცემილი.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, გადაფასების ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და კაპიტალში გროვდება გადაფასების რეზერვის მუხლში. მოგებაში ან ზარალში აისახება გადაფასებიდან მიღებული ის ნამეტი თანხა, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. გამოყენებული ცვეთის ნორმებია:

შენიშვნები	75 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	10-15 წელი
ავეჯი და ინვენტარი	10-15 წელი
სპეციალური ინსტრუმენტები	10-15 წელი

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალს ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება სკოლის საქმიანობის უფლებისგან, რომელთა სასარგებლო მომსახურეობის ვადეა 6 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროა განათლების მომსახურების გაწევა, ხოლო დამატებითი - საიჯარო მომსახურების გაწევა. განათლების მომსახურების აღიარება ხდება 10 თვიანი პერიოდის მიხედვით, რომელიც ემთხვევა სასწავლო პროცესს (სექტემბერი-ივნისი). თანხის აღიარება ხდება მთელი პერიოდის მანძილზე, იმ თვეების პროპორციულად, როცა მოსწავლე ღებულობს მომსახურებას (არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლე დროზე ადრე გადადის სხვა სკოლაში, ან სწავლის დასრულებამდე გადმოდის სხვა სკოლიდან). რაც შეეხება საიჯარო მომსახურებას - სახელშეკრულებო თანხის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს,

გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
 - (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
 - (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
 - (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
 - (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული

საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების

ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

შპს სკოლა ევრო-2000
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	GEL						
	მიწა	შენობები და ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	ავეჯი და ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	10 822 067	3 286 558	499 329	529 716	41 450	45 791	15 224 912
შეძენა		108 147	95 490	50 873	-	4 634	259 144
რეალიზებული	-	-	-			-	-
ჩამოწერა/აღდგენა	-			-		-	-
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	10 822 067	3 394 705	594 819	580 590	41 450	50 425	15 484 056
ცვეთა							
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	-	(259 460)	(116 239)	(218 835)	(30 879)	(10 263)	(635 677)
პერიოდის ცვეთა	-	(45 874)	(41 113)	(35 557)	(1 662)	(4 615)	(128 821)
ჩამოწერილი მ/ს ცვეთა	-		-			-	-
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	-	(305 334)	(157 352)	(254 392)	(32 541)	(14 878)	(764 497)
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	10 822 067	3 027 098	383 090	310 881	10 571	35 527	14 589 235
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	10 822 067	3 089 371	437 467	326 198	8 909	35 546	14 719 559

შენიშვნა: კომპანიის ბალანსზე არსებული მიწა და შენობა, ძირითადი საშუალებების მუხლიდან მთლიანად იპოთეკით არის დატვირთული სესხის უზრუნველსაყოფად უფლებრივი შეზღუდვების გარეშე.

5. საინვესტიციო ქონება

GEL

	შენიშვნა	მიწა (პროპორციულ ლად)	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	315 591	201 533	517 124
შეძენა	-	-	-
გადატანა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	315 591	201 533	517 124
ამორტიზაცია			
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	(19 757)	-	(19 757)
პერიოდის ცვეთა	(4 208)	-	(4 208)
ჩამოწერილი მ/ს ცვეთა	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	(23 965)	-	(23 965)
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	295 834	201 533	497 367
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	291 626	201 533	493 159

ძირითად საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად კომპანია ახორციელებს საიჯარო საქმიანობას, იჯარით აქვს გაცემული საკუთარი შენობის გარკვეულ ნაწილი. აღნიშნული ქონება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაფასებულია და მას შემდეგ ცვეთა ერიცხება. მიწის პროპორციული ნაწილიც გადმოტანილია ძირითადი საშუალებების მუხლიდან, სადაც ის ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობითაა გადაფასებული.

შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს საბალანსო ღირებულებას მინუს ცვეთით და მიაჩნია, რომ ყოველწლიური რეალური ღირებულების დადგენა მისთვის მიზანშეუწონელ დანახარჯთან და ძალისხმევასთანაა დაკავშირებული, რადგან შესაბამისი თანამშრომელი არ ყავს, შემფასებლის ხარჯი კი ტვირთად დააწევბა მის ძირითად საქმიანობას.

შპს სკოლა ევრო-2000
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6. არამატერიალური აქტივები

	GEL	
	სკოლის ავტორიზაცია	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	13 425	13 425
შეძენა	-	-
გადატანა	-	-
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	13 425	13 425
ამორტიზაცია		
ნაშთი 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	(2 685)	(2 685)
პერიოდის ცვეთა	(2 237)	(2 237)
ჩამოწერილი მ/ს ცვეთა	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	(4 922)	(4 922)
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 აგვისტოსთვის	10 740	10 740
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 აგვისტოსთვის	8 503	8 503

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.08.2024	31.08.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	1 766 102	1 316 917
ფული სალაროში	-	-
	1 766 102	1 316 917

8. მოთხოვნები

	31.08.2024	31.08.2023
მოთხოვნები სწავლის საფასურიდან	474 600	388 084
სწავლის საფასურის მოთხოვნების გაუფასურება	(283 060)	(154 577)
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	121 695	64 597
საიჯარო მომსახურების მოთხოვნების გაუფასურება	(93 239)	(58 285)
გადახდილი ავანსები	132 850	120 642
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	-
	352 846	360 462

9. მიღებული სესხები

	თარიღი	სახელშეკრულება თანხა (ევრო)	წლიური ეფექტური %	გადასახდელი მირი 31.08.2024	მიმდინარე ნაწილი	სრულად დაფარვის ვადა
სესხის ნომერი 3.15240	06.12.2029	294713	5,01%	9477	9477	31.12.2024
		294713		9477		

10. ამონაგები

	31.08.2024	31.08.2023
შემოსავალი განათლებიდან	5 477 913	3 990 625
შემოსავალი სახელმწიფო ვაუჩერისგან	348 350	334 600
საიჯარო შემოსავლები	693 911	509 729
	6 520 174	4 834 954

11. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	31.08.2024	31.08.2023
მოთხოვნის ჩამოწერა	-	(20 965)
რემონტის ხარჯი	(191 325)	(94 811)
ქონების გადასახადის ხარჯი	(42 708)	(41 034)
კომუნალური ხარჯები	(113 309)	(69 263)
სამეურნეო ხარჯი	(47 019)	(70 050)
განათლების ცენტრის ხარჯი	-	(13 597)
გერმანიაში მოსწავლეების წყევანის ხარჯი	-	(19 685)
მანდატურის ხარჯი	(42 024)	(25 600)
საკოსულტაციო ხარჯები	(15 340)	(12 980)
ჯარიმები	(15 000)	-
ელექტრონული ჟურნალის მომსახურების ხარჯი	(14 439)	(6 930)
მოსწავლეთა გახანგრძლივებულში კვების ხარჯი	-	(13 306)
კომპიუტერის ხარჯი	(15 025)	(16 360)
საკანცელარიო ხარჯი	(5 142)	(17 250)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(1 999)	(2 119)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(11 042)	(10 395)
მოსწავლეთა სტიპენდიის ხარჯი	(54 734)	(43 842)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(101 907)	(46 434)
	(671 012)	(524 621)

12. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან და ნაშთები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	128 625	70 875
	128 625	70 875

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დამფუძნებლებზე ჯამურად გაცემულია დივიდენდი 384 210 ლარის ოდენობით.
2025 წლის ივნისში კომპანიამ აიღო 8 წლიანი სესხი 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით სს საქართველოს ბანკიდან, რომელითაც შიძინილი იქნა მიწის ნაკვეთი ბათუმში.

შპს „სკოლა ევრო-2000“

მმართველობის ანგარიში

2024 წელი

შპს სკოლა ევრო-2000 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. იგი დაარსდა 2001 წელს, მისი საინდენტიფიკაციო ნომერია: 245437843.

მისი დამფუძნებლები არიან:

- მარინა ცივაძე - 50%;
- ანზორ აბუსერიძე - 50%

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა აკისრია დირექტორებს - მარინა ცივაძეს და ანზორ აბუსერიძეს.

სკოლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. N91ა;

ელფოსტა: euro2000b@gmail.com;

ვებ-გვერდი: www.euro-2000@edu.ge

სკოლის, როგორც „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად შექმნილი კერძო სამართლის სუბიექტის, მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. ამასთან, სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. მას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია, რომელიც გასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ, 6 წლის ვადით არის ავტორიზაცია მინიჭებული ბოლოს 2022 წლის 19 აგვისტოს, მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვლილია 1500 მოსწავლეზე.

შპს სკოლა ევრო 2000-მა 2001 წლიდან დღემდე არსებობის მანძილზე შექმნა მოსწავლეთათვის სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად. დაამკვიდრა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შესძინა მათ თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება.

სათანადო მატერიალურმა ბაზამ და ეფექტურმა სასწავლო გარემომ უზრუნველყო მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღება. სკოლა ევრო 2000-მა მიიღო ახალი გამოწვევები, შექმნა თანამედროვე სტანდარტების კონკურენტუნარიანი სკოლა და

ორიენტაცია აიღო გრძელვადიან მიზნებზე, როგორცაა მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, კერძოდ სკოლის დამატებითი ფართის მშენებლობა, ასევე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

მიზნები და ამოცანები

ორგანიზაციის მიზანია შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად.

მისია

სკოლა ევრო 2000-ის მისიას აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედება, გაცვლითი სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა, მოსწავლეების მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისათვის.

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

1. სკოლაში ჯანსაღი სასწავლო - სამუშაო პირობებისა და უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა;
2. ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის საფუძველზე სკოლის მართვის დემოკრატიული სისტემის არსებობა;

3. სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ობიექტურობა;
4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანობის პრინციპების დაცვით სასკოლო საქმიანობის წარმართვა;
5. მოსწავლეთა ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობი გარემოს ფორმირება, პრევენციული ღონისძიებების გატარება;
6. პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისთვის;
7. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური გაუმჯობესება, სკოლისთვის დამატებითი ფართის მშენებლობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, კაბინეტების აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა კომპიუტერებით და სამკითხველო დარბაზის გაფართოება, ახალი საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, ევრო სტანდარტებით აღჭურვილი სასადილოს მოწყობა, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვა;
8. მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს არსებობა;
9. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს არსებობა;
10. ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის ადაპტირებული გარემოს ფორმირება სკოლაში.
11. მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასტიმულირებელი ბერკეტებისა და წამახალისებელი ფორმების ეფექტურად გამოყენება;
12. მასწავლებელთა სახელფასო ზრდა;
13. მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა;
14. ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება.

რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სკოლის მისიის უზრუნველყოფისათვის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მატერიალური რესურსი. სკოლას საკუთრებაში აქვს შენობა, რომელიც გამოიყენება მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის და შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. მოსწავლეებისათვის განსაკუთრებულ კომფორტს ქმნის ახალი კორპუსი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო და ტექნოლოგიური რესურსებით და კვების ბლოკით. სკოლას საკუთრებაში აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ივსება მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად, ადაპტირებული გარემო შშმ მოსწავლეებისთვის.

ყოველივე ზემოთ ხსენებული უზრუნველყოფს, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას.

საერთაშორისო ინტეგრაცია

მისიიდან გამომდინარე სკოლა 2003 წლიდან გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტთან, უცხოეთში მოქმედ გერმანულ სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან DAAD-ის, ZFA-სა და PAD-ის ინიციატივის „სკოლები - მომავლის პარტნიორები“ (Schulen: Partner der Zukunft) წევრი, რომლის მიზანია, უცხოეთში გერმანიის, გერმანული კულტურისა და ენის მიმართ ინტერესის გაღვივება, ახალგაზრდების გერმანული ენის სწავლებისადმი მოტივირება, პედაგოგთა კვალიფიცირება და პარტნიორი სკოლების მხარდაჭერა, მათი კონტაქტების უზრუნველყოფა. სწორედ ამავ მიზნებითა და ქართველ მოზარდებში ევროპული განათლებისადმი მისწრაფებისა და ხელშეწყობის მიზნით გახდა სკოლა ევრო-2000 ამ ინიციატივის წევრი და აქტიურად არის ჩართული აქტივობებში.

2022 წლის 22 ივნისს ურთიერთგაგების მემორანდუმი დაიდო მიუნსტერის ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტთან,

გერმანულის, როგორც უცხო ენის სწავლების პედაგოგთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში.

მემორანდუმი ითვალისწინებს საგაკვეთილო პრაქტიკის შეთავაზებას მიუნსტერის სტუდენტებისთვის.

2022 წლის 26 სექტემბერს შეთანხმება დაიდო განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობაზე სანკტ აუგუსტინის ვალდორფის თავისუფალ სკოლასთან.

2023 წლის 22 მაისს შეთანხმება დაიდო კიოლნის გერმანულ გიმნაზიასთან,

შეთანხმებების საგანს წარმოადგენს განათლების სფეროში ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებით პარტნიორებს შორის თანამშრომლობის განვითარება შემდეგ სფეროებში:

- განათლების სფეროში ინოვაციური პედაგოგიური და კომუნიკაციური მეთოდების გამოყენებაში გამოცდილების გაცვლა;

- თანამშრომლობა სასკოლო და კლასგარეშე განათლების სფეროში;

- პროექტების ერთობლივი შემუშავება თანამედროვე მედიის გამოყენებით;

- მასწავლებელთა შემდგომი განათლების გამოცდილების გაზიარება და განგრძობითი სწავლებისა და გაკვეთილების განხორციელება.

2009 წლიდან ევრო-2000-ს პარტნიორობა აქვს გერმანიის ქალაქ ელმსჰორნის ბისმარკის სახელობის გიმნაზიასთან. პარტნიორობის მთავარი მიზანი გაცვლითი პროგრამების განხორციელებაა წელიწადში ერთჯერ. პროგრამის ფარგლებში ხდება მოსწავლეთა ჯგუფების სტუმრობა პარტნიორ სკოლებში. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაეცნონ გერმანულ სკოლის სისტემას, გერმანულ ყოფას და წესჩვეულებებს, გაიუმჯობესონ ენის ცოდნა, შეიძინონ ახალი მეგობრები. გერმანელი და ქართველი მოსწავლეები ერთობლივად მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ, შემოქმედებით და სასწავლო ღონისძიებებში, მასტერკლასებსა და ექსკურსიებში. (პანდემიის პერიოდში იყო დროებით შეჩერებული)

2011 წლის სექტემბრიდან სკოლა ოფიციალურად ფუნქციონირებს როგორც

გერმანული ენის მეორე საფეხურის დიპლომის სკოლა (DSD II B2 – C1), ხოლო 2013 წელს სკოლას მიენიჭა გერმანული ენის პირველი საფეხურის დიპლომის პროგრამის განხორციელებისა და გამოცდების ჩატარების უფლება. დიპლომისთვის მოსწავლეთა მომზადება და გამოცდები დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. სკოლაში გერმანული ენის მეორე საფეხურის B2 – C1 დიპლომი დღემდე 179-მა მოსწავლემ მოიპოვა, ხოლო პირველი საფეხურის B1 დიპლომის მფლობელი უკვე 333 მოსწავლეა. სკოლის ხუთმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) საბაკალავრო სტიპენდია და ამჟამად სრული დაფინანსებით სწავლობენ გერმანიის უნივერსიტეტებში მიუნხენში, კარლსრუეში, მარბურგსა და მანჰაიმში. გერმანული ენის დიპლომის მქონე 54-ზე მეტი კურსდამთავრებული წარმატებით სწავლობს ბერლინში, ჰამბურგში, ლაიფციგში, მარბურგში, დარმშტადტში, ჰალეში და სხვა ქალაქებში.

მართვა და კომუნიკაცია

მართვის და ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების დელეგირება, ასევე ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება ორგანიზაციის მმართველ რგოლებსა და თანამშრომლებს შორის. ორგანიზაციის ფუნქციონირების პერიოდში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა კომუნიკაციის, დელეგირების გუნდის შექმნის, გადაწყვეტილების მიღების მმართველობითი სისტემა, რაც დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- ყოველი პოზიციისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციის არსებობა;
- სათანადო დელეგირება შესაბამისი უფლებამოსილებით;
- ორგანიზაციის ყველა თანამშრომლებს შორის მუდმივი ინტერაქცია;
- კარგი შიდაორგანიზაციული კომუნიკაციური სისტემა უკუკავშირის მექანიზმებით;
- რეგულარული, მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული შეხვედრები თანამშრომლებთან;

- თანამშრომლებისთვის ერთმანეთის როლების და ფუნქციების გაცნობა.

სტრატეგიული განვითარება

სკოლის სტრატეგიული განვითარება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული 6 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, რომელიც ადგენს სკოლის სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიის განსაზღვრის ზოგად წესს - პროცედურას, აყალიბებს მისი პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმს. მასზე დაყრდნობით ორგანიზაცია ადგეს, ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, სტრატეგიულ დაგეგმვას, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას - 1 წლიან სამოქმედო გეგმას. სტრატეგიული გეგმა არის მართვის სისტემა, რომელიც მოწოდებულია განავითაროს სკოლა ფაქტობრივი მდგომარეობიდან სასურველ შედეგამდე. სტრატეგიულ გეგმის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმს ქმნის მოკლევადიანი და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. ყოველწლიურად, სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ, ორგანიზაცია აწარმოებს მონიტორინგს და აკეთებს შეფასებას.

რისკები და მათი მართვის სტრატეგია

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და მის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

სკოლის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს

- კონკურენცია;

- რესურსების განვითარების შეფერხება;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება.
- ფორსმაჟორული სიტუაციები.

აღნიშნული რისკების მართვისას სკოლა იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

კონკურენციის რისკის მართვისას სკოლა აქცენტს აკეთებს საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედებაზე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე;

რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას სკოლა ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას სკოლა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;


კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

ამდენად სკოლას მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.


ასევე მნიშვნელოვანი საქმიანობის რისკი, რომელიც ახასიათებს სკოლის ოპერაციებს, არის უცხოური ვალუტის გადაფასებასთან დაკავშირებული რისკები - სკოლას აქვს საბანკო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში - მიუხედავად ამისა, რისკის დასაზღვევად, სკოლა მაინც არ ახდენს სკოლის საფასურის უცხოურ ვალუტაში დენომინირებას, გამომდინარე მომხმარებლების ინტერესებიდან.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

გასული პერიოდების განმავლობაში სკოლას ჰყავდა შემდეგი რაოდენობის მოსწავლეები:



შემოსავლებისა და მოგების დინამიკა შემდეგია




შპს სკოლა ევრო-2000


მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
 გასული პერიოდების განმავლობაში სკოლას ჰყავდა შემდეგი რაოდენობის მოსწავლეები:



შემოსავლებისა და მოგების დინამიკა შემდეგია



შპს სკოლა ევრო-2000

მარინა ცივაძე

[Handwritten signature]



[Handwritten signature]

ანზორ აბუსერიძე